# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 137

„30" ივნისი 2020 წ

ქ. თბილისი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტროს პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-3 პუნქტების და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტრო პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.595.747 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის „თბილისის მეტრო პროექტთან" დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.595.747 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად 75 000 000 (სამოცდათხუთმეტი მილიონი) ევროს ოდენობით ქვესასეხო ხელშეკრულების გაფორმებაზე."

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე